საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] მცხ.: [redacted]
[redacted] ტელ.: [redacted] ელ. ფოსტა:
[redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას „სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ საკანონმდებლო წინადადება - ოფიციალურ საერთაშორისო ღონისძიებებზე და სხვა შემთხვევებში საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენების შესახებ;
- ✓ Guide to the Public Display of Flags on Government Buildings[1].

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-1935/23
06 02 2023 ფურცელი 1

[1] წყარო: https://www.orcities.org/application/files/9816/3856/0054/GuidetoFlagsonGovtBuildings12-2-21.pdf

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

საკანონმდებლო წინადადება

ოფიციალურ საერთაშორისო ღონისძიებებზე და სხვა შემთხვევებში
საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენების შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ გამოყენების წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, ხსენებული კანონი ასევე აწესრიგებს საქართველოს სახელმწიფო დროშის, როგორც საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოს, <u>გამოყენების წესს,</u> განსაზღვრავს მისი <u>გამოყენების სფეროებს</u> და დაცვის წესს, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო დროშის ორიგინალების შენახვის ადგილებს. კანონის მე-6 მუხლში მოცემულია სახელმწიფო დროშის აღმართვასა და გამოფენასთან დაკავშირებული რეგულაციები. კერძოდ, ჩამოთვლილია ის სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოები, რომელთა შენობაზე მუდმივად აღიმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა, აგრეთვე მოცემულია ის შემთხვევები, როდესაც გამოიფინება საქართველოს სახელმწიფო დროშა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო დროშა ასევე **გამოიფინება** საქართველოში მიმდინარე <u>ოფიციალურ საერთაშორისო ღონისძიებებზე</u>.. ყურადსაღებია, რომ საქართველოს **პრეზიდენტის** 27/09/2001 386 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში საპროტოკოლო ღონისძიებათა მოწყობის წესით არა მხოლოდ სახელმწიფო დროშის გამოფენის, არამედ სახელმწიფო დროშის <u>გამოკიდვის, აღმართვის, ავტომობილზე დამაგრების</u> გარემოებანი არის მოცემული. საჭიროებისამებრ, სასურველი იქნებოდა ხსენებული ტერმინების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში ასახვა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ კანონის რეგულირების სფეროს წარმოადგენს სახელმწიფო დროშის გამოყენების წესის და სფეროების განსაზღვრა, სასურველი იქნებოდა საკანონმდებლო აქტს ასევე მოეცვა საკითხის სათანადო მომწესრიგებელი (თუგინდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ საპროტოკოლო ღონისძიებათა ფარგლებში სახელმწიფო დროშის გამოყენების რეგულირების მითითების გზით) ძირითადი ნორმებიც, მათ შორის ოფიციალურ საერთაშორისო ღონისძიებებზე, სხვა ქვეყნების სახელმწიფო დროშებთან მიმართებით განთავსების თავისებურებანი. ამას გარდა, სავარაუდოდ კანონის მიღმა დარჩა სამშვიდობო კონტინგენტის/ პერსონალის მიერ საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენების შემთხვევები, რაც ასევე სასურველი იქნებოდა მოცემული ცვლილებების ფარგლებშიც აღმოფხვრილიყო.

- **საკანონმდებლო წინადადების ავტორი:**

- საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძე, პირადი ნომერი [redacted]
- მცხ.: [redacted] საფოსტო ინდექსი [redacted]
- ელ. ფოსტა: [redacted]; მობ.: [redacted]

04/02/2023